# საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

# ბრძანება №59

# 2017 წლის 27 ივლისი

# ქ. თბილისი

## „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის გადაყვანის წესი და პირობები“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 26 აგვისტოს №104 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის გადაყვანის წესი და პირობები“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 26 აგვისტოს №104 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 27/08/2015, 100110000.22.038.016519) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

**1. ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის გადაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.**

**2. ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების:**

**ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მსჯავრდებულთა გადაყვანა ხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის (შემდგომში – დეპარტამენტის დირექტორი) ბრძანებით.“;

**ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. პენიტენციური დეპარტამენტი უზრუნველყოფს სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულის გაგზავნას დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან არაუგვიანეს 20 დღისა.“;

**გ) მე-3 მუხლის:**

**გ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი 3. მსჯავრდებულის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა**“;

**გ.ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მსჯავრდებული, დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში შემდეგ შემთხვევებში:

ა) მსჯავრდებულის საშიშროების რისკის (შემდგომ – რისკი) გათვალისწინებით;

ბ) პენიტენციური დაწესებულების დებულების სისტემატური დარღვევისას;

გ) მსჯავრდებულისა და სხვა პირთა უსაფრთხოების ან პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

დ) მსჯავრდებულის ავადმყოფობისას;

ე) პენიტენციური დაწესებულების რეორგანიზაციისას;

ვ) პენიტენციური დაწესებულების ლიკვიდაციისას;

ზ) პენიტენციური დაწესებულების გადატვირთულობისას;

თ) პატიმრობის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას;

ი) მსჯავრდებულის თანხმობის არსებობისას;

კ) სხვა მნიშვნელოვანი, დასაბუთებული გარემოების არსებობისას.";

**დ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. მსჯავრდებულის გადაყვანა სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ხდება მსჯავრდებულის წერილობითი განცხადების საფუძველზე, დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით.";

**ე) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი 5. მსჯავრდებულთა გადაყვანა და დაცვა**

მსჯავრდებულთა გადაყვანას და დაცვას უზრუნველყოფს სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.".

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 სექტემბრიდან.

**საქართველოს სასჯელაღსრულებისა**
**და პრობაციის მინისტრი** **კახა კახიშვილი**